ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი მეომარი

1923
სექტემბერი
10
სამშაბათი
მზე ამ. 5 ს. 13 წ.
მზე ჩად. 7 ს. 18 წ.
შესან. მოვლენათა დღიური
1917 წ. კორნილოვის აჯანყება.

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისის სასახლის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური ფასი 3 მილ. მან.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 363 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 100,000 მანეთი. № 363

საკავშირო ცაკის მორიგი სესია თბილისში.

ამ დღეებში ჩვენ მივიღეთ მეტად სასიხარულო ცნობა, რომ საკავშირო ცაკის მორიგი სესია გაიხსნება თბილისში 7 ნოემბერს.

ამ გადაწყვეტილებას საკავშირო ცაკის პრეზიდიუმისა მეტად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ის კიდევ ერთხელ ეუბნება ფედერაციის ყველა მშრომელთ, რომ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი არის უპირველეს ყოვლისა კავშირი თანასწორთა, რომ საკავშირო ხელისუფლების დადგენილებანი და გადაწყვეტილებანი ერთნაირად იცავენ კავშირში თითეულ შემავალ ერის სუვერენობას და ხელს უწყობენ მის განვითარებას. ამასთანავე ერთად ეს გადაწყვეტილება საუცხოვოდ აბათილებს საბჭოთა ხელისუფლების მტრების პროვოკაციას, რომ თითქოს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი სინამდვილეში წარმოადგენდეს რუსეთის ბატონობას დანარჩენ რესპუბლიკებზე.

ამიერიდან კი მათ პროვოკაციას და ინსინუაციებს ეღება ბოლო.

ერთა შორის თანასწორობა და ძმური თანამშრომლობა პოულობს თავის განხორციელებას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს.

ყოველგვარი გადაწყვეტილება და დადგენილება საკავშირო ხელისუფლებაზე სულ ერთია სადაც არ იქნება გამოტანილი — მოსკოვში თბილისში თუ მინსკში, ის სავალდებულოა საბჭოთა ფედერაციის ტერიტორიაზე ყველა მობინადრე მოქალაქისათვის.

ამის შემდეგ ჩვენი სოციალ-გამყიდველები ველარ დაიწყებენ სისინს რომ მოსკოვი ბატონია თბილისის.

თბილისის პროლეტარიატი და მთელი სოციალისტური საქართველო აღფრთოვანებით ესალმება ამ გადაწყვეტილებას და ის არ დაზოგავს არავითარ საშუალებას, რათა მეტის ზეიმით და ენტუზიაზმით შეხვდეს მესამე სესიის დელეგატებს თავის დედა ქალაქში, რომელიც ამავე დროს ისეთივე დედა ქალაქია მთელი საკავშირო რესპუბლიკისა, როგორც მოსკოვი, ხარკოვი და მინსკი.

იაპონიის კატასტროფის გამო.

დეპეშებს ახალი ცნობები მოაქვს იაპონიის ამბების შესახებ. მიწისძვრა და ვულკანების მოქმედება თანდათან ვითარდება და მთელი რიგი ქალაქებისა ნაცარ-ტუტათ აქცია. ასეთი საშინელება ჯერ არ ახსოვს ისტორიას. მრავალი დასახლებული და მშვენიერი ადგილები იკარგებიან წყალში და მის მაგივრად ჩნდებიან ახალი გავერანებული კუნძულები. 3 მილიონი მსხვერპლი შეიწირა ამ საშინელმა სტიქიურმა უბედურებამ, 6 მილიონამდი კაცი ქუჩაში ყრია თავშესაფერის უქონლობის გამო. თითქმის მთელი იაპონიის სიმდიდრე, ოქროს მარაგი დაიღუპა, სავაჭრო-სამრეწველო ცენტრები განადგურებულია. ასეთი უბედურება დაატყდა თავს იაპონიის ხალხს.

რა თქმა უნდა არც ერთი ქვეყანა, არც ერთი სახელმწიფო თავის მცხოვრებლებით გულცივათ არ შეხვდება ამ მოვლენას. ყველანი ალაპარაკდნენ იაპონიის უბედურებაზე. ყველა ლაპარაკობს მათ დახმარებაზე და იაპონიის ხალხის გადარჩენაზე. ეს ასედაც უნდა იყოს. მაგრამ საქმე იმაშია, თუ როგორ დახმარებას გაუწევენ იაპონიას სხვა და სხვა სახელმწიფოები.

ამერიკის და ინგლისის ფლოტი უკვე იაპონიის ნაპირებთან იმყოფება. საფრანგეთის და იტალიის გემებს ებრძანათ დაუყოვნებლივ გაემგზავრონ იაპონიაში და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ მცხოვრებლებს.

ასე მოიქცა თითქმის ყველა სახელმწიფოები. საბჭოთა კავშირის უმაღლესმა ორგანომ დაადგინა ფართო დახმარება გაუწიონ იაპონიის მშრომელ ხალხს და ამისათვის სპეციალური კომისიაც კი დაარსდა.

როგორი იქნება საბჭოთა ქვეყნების და იმპერიალისტური სახელმწიფოების დახმარება? აი საკითხი, რომელიც ნათლად დაგვანახვებს იაპონიის ხალხის ნამდვილ მტრებს და მოყვრებს.

ჩვენ ვიცით როგორია იმპერიალისტების დახმარება. როდესაც საბჭოთა რუსეთში რამოდენიმე ათეული მილ. დამშეული იყო და საბჭოთა მთავრობა მთელ ქვეყანას მიმართავდა დახმარებისათვის, იმპერიალისტურმა ხროვამ განიზრახა ესარგებლა შემთხვევით და წაექცია მუხრუჭი საბჭოთა ქვეყნებისათვის. იმპერიალიზმი ყველგან და ყოველთვის ცდილობს სარგებელი ნახოს და მას სრულებით არ ენაღვლება მშიერი და უსახლკარო ხალხი თავის შავ-ბნელ ზრახვების განხორციელებისათვის. ისინი შეწირავენ მილიონობით მსხვერპლს ოღონდ კი თავის საქმე კარგათ წაიყვანონ. ასევე მოხდება დღეს იაპონიის დახმარების დროსაც.

როგორც ცნობილია იაპონია ერთ ერთი უძლიერესი იმპერიალისტური სახელმწიფო იყო. მისი ახალგაზრდა, მაგრამ ძლიერი იმპერიალიზმი შორეულ აღმოსავლეთში და წყნარ ოკეანეზე ბატონობისათვის ემზადებოდა, ჩინეთის ბაზრის დაპყრობა და სხვა მრავალ კუნძულების ხელში ჩაგდება იყო მისი მიზანი. ამ გზაზე მას წინ ეღობებოდა ამერიკა. ამერიკის იმპერიალიზმის ინტერესი შორეულ აღმოსავლეთში და ჩინეთში დაეჯახა იაპონიის იმპერიალიზმის ინტერესებს. ერთიც და მეორეც ახალ ბაზრების ძებნაში იყვნენ და მათი მთავარი ყურადღება შორეული აღმოსავლეთისაკენ და ჩინეთისაკენ იყო მიპყრობილი.

ინგლისსაც თავისი ინტერესები ჰქონდა შორეულ აღმოსავლეთში. ვაშინგტონის 1921 წ. კონფერენციამდე ინგლისი და იაპონია თითქოს მოკავშირენი იყვნენ და ორივე ემზადებოდენ ამერიკის წინააღმდეგ, მაგრამ ვაშინგტონში ამერიკამ შესძლო იაპონიის ჩამოშორება ინგლისისაგან და იაპონიის სამხედრო განვითარების ცოტათი შეჩერება. მაგრამ ამან მდგომარეობა არსებითად ვერ შესცვალა, იაპონია მაინც განაგრძობდა საზღვაო და საჰაერო სამხედრო ძალების გაფართოებას. ასე იქცეოდა ამერიკა. ინგლისი კი ირყეოდა ამ ორ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის და არ სურდა უკმაყოფილება მოსვლოდა არც ერთთან და არც მეორესთან. მაგრამ ისიც აშენებდა სამხედრო საზღვაო და საჰაერო ფლოტს. ასეთ მზადების შედეგი კი აუცილებელი იყო: იაპონიის და ამერიკის სამკვდრო სასიცოცხლო დატაკება წყნარ ოკეანეზე ბატონობისათვის, ინგლისი კი ან ერთის ან მეორესი მოკავშირე გახდებოდა.

დღეს მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. იაპონია განადგურდა. იაპონიის იმპერიალიზმმა დიდი მარცხი იგემა, ასე რომ იაპონია მრავალ წლებით გამოვიდა დიდ სახელმწიფოთა რიგიდან. ის ვერ შესძლებს მცირე მეტოქეობის გაწევასაც კი ამერიკის იმპერიალიზმისათვის.

ასეთი მდგომარეობით ისარგებლებს ამერიკა.

ის სურსათ-სანოვაგის მიზიდვასთან ერთად იაპონიაში, თავის სამხედრო ფლოტსაც გაგზავნის. იაპონიის კუნძულებს დაიკავებს და ჩინეთის ბაზარს წაუპოტინებს ხელს.

მეტოქე მას ამ შემთხვევაში მხოლოდ ინგლისი ეყოლება. ამგვარად შორეულ აღმოსავლეთში მთავარ მოქმედ ძალებად რჩება: ამერიკა, ინგლისი და საბჭოთა კავშირი (თუ ჩინეთს არ ჩავთვლით). ამერიკა და ინგლისი ხელს მოითბობენ იაპონიის უბედურებაზე.

ამერიკა და ინგლისი დაგლეჯენ და დაინაწილებენ ურთიერთშორის იაპონიის კოლონიებს და შეიძლება თვით იაპონიასაც. საბჭოთა ქვეყნებსაც აქვს თავისი ანგარიშები იაპონიის იმპერიალიზმთან. იაპონია იყო, რომ რუსეთის თეთრგვარდიელებს დახმარებას უწევდა და სისხლის მორევში ახრჩობდა შორეულ აღმოსავლეთის რევოლიუციონურ მოძრაობას. იაპონიამ ისარგებლა საბჭოთა ქვეყნების სისუსტით და მას მრავალი ადგილები წაართვა და აურაცხელი ზარალი მიაყენა. იაპონიის იმპერიალიზმზე ბევრი ანგარიშები გვაქვს, მაგრამ მას ჩვენ დღეს არ წარვუდგენთ ამას. ამის დრო მოვა.

იაპონიის მუშათა კლასი თვით მოუღებს ბოლოს იაპონიის იმპერიალიზმს. დღეს კი ჩვენ მთელი არსებით, ჩვენ მცირე, მაგრამ გულწრფელ დახმარებას ექნება გაცილებით მეტი მნიშვნელობა, ვიდრე იმპერიალისტებისას. ერთად ერთი ქვეყანა, რომელიც იაპონიის მშრომელი ხალხის ერთგული დახმარე იქნება ყოველგვარ ფარულ ზრახვებს მოკლებული — საბჭოთა ქვეყნებია.

ჩვენ საკუთარ თავზე გამოგვიცდია ასეთი უბედურება და არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია გულცივათ ვუცქიროთ იაპონიის ხალხის უბედურებას.

ს.

რაზედ სწერენ გაზეთები

ა. წ. 9 სექტემბერს შესრულდა ერთი წელი ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის სამუშაოს დაწყების დღიდან.

ეს განუზომელი მნიშვნელობის მოვლენაა საქართველოს მშრომელი ხალხის, განსაკუთრებით კი თბილისის მუშების ცხოვრებაში.

1922 წლის 9 სექტემბერს ზემო ავჭალის მიდამოებში, მტკვრის პირათ, თბილისის მუშებმა წერაქვით და ბარ-ნიჩბით ხელში საძირკველი ჩაუყარეს დიად საქმეს. ამ დღეს დაიწყო ელექტრო-სადგურის აშენება და ის თან და თან ფართოვდება და დიდ მომავალის იმედებს იძლევა.

გაზ. „კომუნისტი" ეხება ამ დღეს — შრომის ზეიმის დღეს.

„მხოლოდ ღრმა რწმენამ თავის შემოქმედებით ძალებისადმი გააბედვინა მუშათა კლასს ასეთი დიდი საქმის დაწყება, და ეს მაშინ, როცა ამისათვის არავითარი მატერიალური და ტეხნიკური საშუალებები არ მოიპოებოდა".

ასეთ ცუდ პირობებში მოუხდა საბჭოთა ხელისუფლებას საერთოდ სამეურნეო აღმშენებლობა, ასეთი მდგომარეობა იყო ავჭალის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის აშენების დაწყების დროსაც, მაგრამ

„უკვე ერთი წელიწადია რაც მუშაობა განუწყვეტლივ სწარმოებს. იქ დაბანდებულია ათასზე მეტი მუშა ხელი. სამუშაოს ერთი მესამედი უკვე შესრულებულია. განზრახულია ორი წლის განმავლობაში მთელი სამუშაოების დამთავრება და 1925 წელში სადგურის ამუშავება".

„ამ სადგურს ექნება კოლოსალური მნიშვნელობა როგორც ტფილისისა, ისე მთელ საქართველოსათვის. ტფილისს და მის მიდამოებს ის მოაწვდის სინათლეს, მის ფაბრიკა ქარხნებს კი მამოძრავებელ ენერგიას და ხელს შეუწყობს ქალაქის სამეურნეო აყვავებას.

„იქ არსებული ელექტრო-სადგურები შეიძლება გადატანილ იქნან პროვინციაში და იქ გამოყენებულნი".

დიდია ტფილისის პროლეტარიატის მიერ დაწყებული საქმე.

ამით ერთხელ კიდევ დავუმტკიცებთ ჩვენს მტრებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას აქვს უნარი, როგორც ძველის დანგრევის, ისე ახალ ცხოვრების აღმშენებლობის და ის აქაც ისე გაიმარჯვებს როგორც სამხედრო ფრონტზე.

დეპეშები

— იაპონიაში კუნძული ოშიმა კვლავ გამოჩნდა და კვლავ განაგრძობს ვულკანიურ მოქმედებას.

— ტოკიოში სახელმწიფო ბანკები კვლავ ამოქმედდნენ.

— საბერძნეთი და იტალია თანახმანი არიან ინცინდენტის შესახებ ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილებისა.

— იტალიამ მოახდინა კორფუს და სხვა კუნძულების ევაკუაცია,

— საბერძნეთმა აულტიმატიური მოთხოვნილება გაუგზავნა ალბანეთს.

ამ დღეებში იაპონიაში გაემართება დასახმარებლად გემი „ლენინი"

იტალია მოითხოვს საბერძნეთისაგან კორფუს ოკუპაციის მიერ გამოწვეულ ხარჯების ანაზღაურებას.

იტალიელებმა დაიკავეს კორფუზე ახლო მდებარე კუნძულები.

საბერძნეთ-იტალიის კონფლიქტი

ერთა ლიგაში.

ერთა ლიგის სხდომაზე იტალიის წარმომადგენელმა სტანდარტამ განაცხადა, რომ წარმომადგენელთა კონფერენციის გადაწყვეტილების გამოტანამდე ერთა ლიგის გამოსვლა მიზანშეუწონელიაო.

საბერძნეთის წარმომადგენელი პოლიტისი აცხადებს, რომ სახელმწიფოები, რომელთა ტერიტორიაზე მოხდა მკვლელობა, უნდა მოხდეს ხსენებულ სახელმწიფოებში არსებულ კანონების ლოიალურად მოხმარება, და რომ იტალიის მიერ კორფუს დაჭერა მიასწავებს მისი მხრივ მტრულად განწყობის აქტს. გარანტიები ზედმეტია, რადგან ერთა ლიგა და წარმომადგენელთა კონფერენცია აძლევს იტალიას ორმაგ გარანტიას.

რუმინია თავის ლოიალობას იცავს.

რუმინიის მთავრობა დაბეჯითებით აღნიშნავს, რომ მას სრულიად არ აინტერესებს საბერძნეთ-იტალიის კონფლიქტი.

რუმინიის პრესა აცხადებს, რომ რუმინია დაინტერესებულია მხოლოდ კონფლიქტის ჩქარი დასრულებით, რადგან სამხედრო ოპერაციების წარმოება ხმელთა შუა ზღვაში შეაფერხებს რუმინიასა და დასავლეთ სახელმწიფოს შორის საზღვაო დამოკიდებულებას.

„ადევერულის" ცნობით პრატიანომ განაცხადა, რომ ინგლისის პრესის მიერ აღნიშნული საშიშროება ევროპაში ახალი ომის გაჩაღების შესახებ, უნდა ითქვას, გაზვიადებულიაო.

მცირე ანტანტა იმუქრება ერთა ლიგიდან გამოსვლით.

ინგლისისა და საფრანგეთისადმი გადაცემულ ნოტაში მცირე ანტანტის სახელმწიფოები აღნიშნავენ, რომ იმ შემთხვევაში თუ ერთა ლიგა ვერ შესძლებს მიიღოს ზომები კონფლიქტის მოგვარებისათვის. ნოტაში აღნიშნულია, რომ თუ იტალია გააფართოვებს თავის ოკუპაციას, მცირე ანტანტა შეუდგება საომარ სამზადისს.

სამხრეთ სლავია.

გაზ. „ნოვოსტის" ცნობით სამხრეთ სლავია დაიცავს ნეიტრალიტეტს იმ შემთხვევაში თუ დაცული იქნება პრინციპი: ბალკანეთი „ბალკანეთის ხალხებისათვის", რადგან ეშინიათ იტალიის საზღვრების გაფართოებას ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და ხმელთა შუა ზღვაზე. ომის შემთხვევაში სამხრეთ სლავია მხარს დაუჭერს საბერძნეთს.

ანტი-იტალიანური დემონსტრაციები გრძელდება.

საბერძნეთში გრძელდება ანტი-იტალიანური დემონსტრაციები. სალონიკში ბაზარი განაცხადებს იტალიანური საქონლის გადმოტვირთვაზე. სწარმოებს მთავრობის თათბირი უმაღლეს სარდლობასთან.

ინგლისი, შვეცია და ბელგია სცნობენ ერთა ლიგის ავტორიტეტს.

ინგლისი, შვეცია და ბელგია გარკვეულად სცნობენ ერთა ლიგის კომპეტენციას. შვეციის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა იტალიისადმი კორფუს გაწმენდის აუცილებლობას.

კონფლიქტი ჯერ კიდევ არ დასრულდა.

საბერძნეთის და იტალიის მთავრობებმა მიიღეს კონფლიქტის მოგვარებისათვის წესრიგი, რომელიც გაგრძელებაა ელჩთა კონფერენციისა. თუმცა საბერძნეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა იტალიის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, მაგრამ კონფლიქტი ჯერ კიდევ დასრულებულად არ ჩაითვლება. ერთა ლიგას კიდევ მოუხდება გადაწყვეტილების გამოტანა, საჭიროა არის თუ არა მისი ჩარევა კონფლიქტში.

ერთა ლიგის კომპეტენციის საკითხი ღია რჩება.

10. სექტ. დღეს მოხდება ერთა ლიგის საბჭოს სხდომა, ელჩთა კონფერენციის წინადადებაზე იტალიისა და საბერძნეთის თანხმობის განცხადების გამო, ლიგის საბჭოს მოუხდება მხოლოდ ამ თანხმობის რეგისტრაციაში გატარება, როგორც მომხდარი ფაქტის. თუმცა ჯერ კიდევ რჩება ლიგის კომპეტენციის საკითხი და ეს საკითხი საბჭომ უნდა გადასწყვიტოს.

საბერძნეთს ულტიმატუმი ალბანეთს.

რომის გაზეთები იტყობინებიან, რომ საბერძნეთის მთავრობამ ულტიმატური მოთხოვნილება გაუგზავნა ალბანეთის მთავრობას, რათა უკანასკნელმა ჩააბაროს საბერძნეთს იტალიის ოფიცრების მკვლელები.

საკითხი გადაჭრილია.

იტალიის მთავრობა ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილებას სთვლის იტალიის ღირსების სრულ დამაკმაყოფილებლად. ჰფიქრობენ, რომ ინციდენტი ამოიწურება, ხოლო ერთა ლიგის კომპეტენციის საკითხი თავის თავად გადაჭრილი იქნებაო.

მუსოლინი დაკმაყოფილებულია.

ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილების გამო, იტალიის პოლიტიკური წრეების განწყობილება მორბილდა. იტალიის ესკადრა უკან დაბრუნდა კორფუდან.

მუსოლინი ავალებს იტალიის ელჩს პარიზში შეატყობინოს ელჩთა კონფერენციას, რომ იტალიის მთავრობა თანახმაა კონფერენციის ნოტისა საბერძნეთის მთავრობის მიმართ. კორფუს ევაკუაცია და სხვა მეზობელ კუნძულების მოხდება იმ წამსვე როგორც კი საბერძნეთის მთავრობა სავსებით და საბოლოოდ დააკმაყოფილებს აღნიშნულ კონფერენციის მოთხოვნილებებს.

მიწის ძვრა იაპონიაში.

იხილავს რა შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის განადგურებით შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას, ინგლისის პრესა აღნიშნავს, რომ მიწის ძვრამდე შორეულ აღმოსავლეთში ამერიკისა და ინგლისს შორის ურთიერთ დამოკიდებულებაში არსებობდა უთანხმოება, ახლა კი მიწის ძვრამ რამოდენიმე წუთში ათეული წლეებით შესცვალა მსოფლიო კონიუნქტურა. იძულებული იქნება, რა იბრძოლოს თავის აღორძინებისათვის, იაპონიამ ჯერ-ჯერობით კარგი ხნით უნდა აიღოს ხელი თავის იმპერიალისტური მისწრაფებისაგან.

ვულკან ოშიმის ახალი ამოხეთქა.

ტოკიოდან იტყობინებიან, რომ ვულკანიური კუნძული ოშის, რომელიც ზღვაში ჩაიმალა, ისევ გამოჩნდა ზღვის ზედაპირზე და განაგრძო ვულკანიური მოქმედება. [illegible] ე. ი. ერთი კვირის შემდეგ პირველ ძვრიდან, ტოკიოში კვლავ საგრძნობი იყო მიწის რხევა, რომელიც გამოხმაურება იყო ვულკან ოშიმას ამოხეთქის.

ბანკების განახლება.

ტოკიოში განაახლეს თავისი მოქმედება ადგილობრივმა ბანკებმა, გაიხსნა აგრეთვე საიმპერიო ბანკი. განზრახულია მორატორიუმის გამოცხადება.

სხვა და სხვა.

ლენინის სახელობის გემი გაემართა დასახმარებლად.

სახელმწიფო საზღვაო სამმართველომ ბრძანება გაუგზავნა ვლადივოსტოკში მყოფ გემს „ლენინს" გაემართოს იაპონიაში დახმარების აღმოსაჩენად.

10 000 მანეთი ოქროთი მოსკოვის საბჭოსაგან.

მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმმა გადასდო იაპონიის მუშების დასახმარებლად 10.000 მანეთი ოქროთი.

თევზეულობის პროდუქტების დაგროვება იაპონიის მშრომელთათვის.

სახალხო სასურსათო კომისარიატმა მიანდო თავის რწმუნებულს შორეულ აღმოსავლეთში მოაწყონ თევზეულობის პროდუქტების დაგროვება იაპონიის მშრომელთათვის.

1.000 ფუთი ფქვილი კამენსკის ქაღალდის ფაბრიკიდან.

კამენსკის ქაღალდის ქარხნის მუშების საერთო კრებამ გადასწყვიტა გაუგზავნოს იაპონიის მშრომელთ 1.000 ფუთი ფქვილი.

იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი.

იტალია მოითხოვს კორფუს ოკუპაციით გამოწვეულ ხარჯებს.

პარიჟიდან მიღებულ ცნობით იტალიის მთავრობამ მოითხოვა საბერძნეთისაგან კორფუს ოკუპაციით გამოწვეულ ხარჯების ანაზღაურება ერთი მილიარდი ლირის გადახდით ყოველდღიურად.

ახალი ოკუპაცია

იტალიელებმა დაიკავეს კორფუზე ახლო მდებარე კუნძულები: პახის, ანტინ და ახოს.

სავაჭრო ურთიერთობის აღკრძალვა.

ათენის სავაჭრო პალატამ დაადგინა შესწყვიტოს სავაჭრო ურთიერთობა იტალიასა და საბერძნეთში მცხოვრებ იტალიელებს შორის.

იტალია ძველებურად ჯიუტობს.

ერთა ლიგის საბჭომ ელჩთა კონფერენციის შეკითხვის პასუხად სცნო მთავრობათა პასუხისმგებლობა მათ ტერიტორიაზე მომხდარ პოლიტიკური მკვლელობის საქმეში და მიუთითა იტალიის ოფიცრების მკვლელობის დაწვრილებით გამოკვლევის საჭიროებაზე. იტალიის დელეგატმა უარი განაცხადა ერთა ლიგის უფლებაზე გამოძიების მოხდენის საქმეში. სესილი, ბრანტინგი და გიუისმანსი იცავდენ ლიგის საბჭოს კომპეტენციას, მაგრამ, თან წინადადება შემოიტანეს—გადასდონ გამოძიება შემდეგ სხდომისათვის, რაც ამტკიცებს იტალიის წარმატებას, რომელიც სარგებლობს საფრანგეთის დახმარებით.

სარწმუნოება და ღმერთები.

(გაგრძელება იხ. № 362)

12

მსოფლიო ხის არსებობა აღარავის სჯერა. აღარავის სჯერათ, რომ ხე სულიერი არსება იყოს ან მიცვალებულის სული სხეულის საკვდილის შემდეგ ხეში გადადიოდეს, მაგრამ არ სჯერა მას ვინც ცოტაოდენი გაცნობილი მაინც არის მეცნიერებას, ან ისეთ ქვეყანაში ცხოვრობს, სადაც მეცნიერული აზრი ხალხშიც გავრცელებულია.

მაგრამ განათლებული ქვეყნებიც არ არიან მოკლებულნი ისეთ კუთხეებს, სადაც ჯერ კიდევ ბნელა უკულტურობის გამო და ზღაპრები და გადმოცემები სჯერათ, როგორც ნამდვილი ამბავი. ასეთი ბნელი გაუნათლებელი კუთხე ინახავს და ასაზრდოებს სარწმუნოებას. ასეთ ბნელ კუთხეში და ქვეყანაში ყველაფერი, რასაც ადამიანი ოცნებით წარმოიდგენს და მოჩმახავს, სჯერათ და როგორც წმიდას და ურყევს გადასცემენ ახალგაზრდობას.

ახალგაზრდობა კი, თუ გნებავთ დაეჭვდეს კიდეც ამ გადმოცემის სიყალბეში, მაინც წინაპართა პატივისცემის ნიშნად სასტიკად დაიცავს ამ გადმოცემას და გარეგნულად ამარებს.

მხოლოდ ამ გზით შეეძლო ჩვენამდე მოეღწია პირველყოფილ ადამიანის მცენარეთა თაყვანისცემის ჩვეულებას, რომელიც ზოგიერთ სოფლებში ჩვენშიც დღემდე დაცულია და სჯერათ. შეიძლება არც სჯეროდეთ, მაგრამ, ვერც უარყოფას ჰბედავენ უცოდინარობის გამო. აბა რომ იცოდეს, უარყოფას ღვთის რისხვა არ მოსდევს, ადამიანი ერთი წუთით არ დაიჯერებდა წმიდა მცენარის არსებობას.

უთვალავი სარწმუნოება და უთვალავი ღმერთები გამოიცვალა კაცობრიობამ, მაგრამ ზოგიერთი გულუბრყვილო ჩვეულებანი პირველყოფილ ადამიანის დღემდე ინახება. მაგალითად პირველყოფილი ადამიანი იკვებებოდა ხის ნაყოფითაც და ამიტომ ხის ნაყოფი წმიდად იყო აღიარებული. კიდევ მეტი, ღვთაების ნაწილად იყო მცენარეთა ნაყოფი აღიარებული. პურის მცენარე, სიმინდი, ღომი, [illegible] და ქერი შემდეგ მცენარედ იყო ჩარიცხული თვით პირველყოფილ ადამიანის მიერ.

თვით პირველყოფილმა ადამიანმა მიაქცია ყურადღება ვაზს ნაყოფს—ყურძენს და ყურძნის წვენი სალოცავ საგნად გახადა.

პურის მარცვალი, გამომცხვარი პური და მწვადი, ღვინო და ნიგვზის ზეთი ჩვენში ხალხისათვის სალოცავი საგნებია.

ჩვენში პურის ნაჭერი, რომ ფეხი დაადგა ცოდვაა არა იმიტომ, რომ შრომის ნაყოფია და ადამიანის ოფლით ნაშოვნი, არამედ, როგორც ღვთაების ნაწილი და სულიერი საგანი.

ღვინის დაღვრაც ცოდვაა, როგორც ღვთაებრივი წვენის.

პირველყოფილი ადამიანი გაეცნობოდა თუ არა ვაზის ნაყოფს, ყურძენს და ღვინოს, მაშინვე რაღაც ღვთაებრივ ძალას იგრძნობდა. ღვინის თვისება, თრობის სახით, მაღალი და ღვთაებრივი იყო პირველყოფილი ადამიანისთვის. წარღვნის გადმოცემა მოგვითხრობს, თითქოს ნოემ წარღვნის შემდეგ თვით ღმერთის ბრძანებით გააშენა ვენახი, როგორც წმიდა და მაღალი თვისებით აღჭურვილი მცენარე.

ეს, რა თქმა უნდა, შეთხზული ამბავია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ სინამდვილეშიც ადამიანი პატივს სცემდა და საოცრად ეპყრობოდა ვაზს. შემდეგ თუ არა მიწის მუშებმა, პირველყოფილი ადამიანი პირველ რიგში ვენახის მოშენების საქმით იყო დაინტერესებული. საბერძნეთში დიდი პატივისცემა და თაყვანისცემაც იყო გამართული ვაზის გარშემო. ბერძნების აზრით ვაზს საკუთარი ღმერთებიც ჰყავდა. საბერძნეთში დიონისო ღვინის და მხიარულების ღმერთად იყო მიჩნეული. აქ დიონისოს შესაწირად მთელი დღესასწაულები იყო დაარსებული ყოველ წლობით. საუკეთესო შესაწირავად ითვლებოდა თხა, ვენახის ნამდვილი მტერი და განმანადგურებელი. ხშირად ასახელებენ ზღაპრებში თხასა და ვენახს, როგორც შეურიგებელ მტრებს.

„თუ გინდა, შენ, თხაო, ძირში ამომჭამო, ეუბნება ვაზი თხას ერთ ზღაპარში—მე მაინც საკმაო ნაყოფს მოვიღებ, რომ შენი შეწირვისათვის საკმაო ღვინო გამოვიდეს." ღმერთი—დიონისეს მსხვერპლის შეწირვის დროს თრობა ღმერთის მსახურებად იყო მიჩნეული. თვრებოდენ ქალები და ვაჟები ათასობით დარწმუნებულები, რომ ღმერთისთვის სასიამო საქმეს ჩადიოდენ.

ეს ყველაფერი ხდებოდა ქრისტიანობამდე მაგრამ შემდეგში ქრისტიანობაც არ უარყოფდა ღვინის და პურის წმიდა თვისებას. პირიქით, ქრისტეს თითქოს თითონ უთქვამს თავის მოწაფეებისათვის პურზე: აიღეთ და სჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი, ან ღვინოზე: ესე არს სისხლი ჩემი". აქედან არსდება [illegible] და ზიარება, პურისა და ღვინის წმიდა ნაწილთა სახით მიღება.

ეს ჩვეულება ქრისტიანობამ ეკლესიისთვის დღემდე მოიტანა, მაგრამ დაუჯერებელია, რომ დღევანდელ ადამიანს სწამდეს ღვინო, როგორც ქრისტეს სისხლი და პური, როგორც ქრისტეს ხორცი. არც იმ სასწაულს დაუჯერებს დღეს ვინმე, რომ ჩვეულებრივი პური და ღვინო ქრისტეს შემდეგ სხვა რამედ იქცეს. მაგრამ უმაღლესად „განათლებული" ღვდლებიც დღეს ამას ჰქადაგებენ და ამ სასწაულში არწმუნებენ ხალხს. მაგრამ გონებით ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ ეს გულუბრყვილო ქადაგება დაიჯეროს. დღეს ეს ისეთივე დაუჯერებელი საბუთია, როგორც მეცნიერთა მტკიცება და ისევე ამცირებს ადამიანის ბუნებას, როგორც პირველყოფილ საზოგადოების სარწმუნოება ამცირებდა.

მით უმეტეს რომ ეს თვით ღვდლებს არასოდეს არ სჯეროდათ და, ვინ იცის გულში რამდენს იცინოდენ, როცა გაუნათლებელი მორწმუნე მიდიოდა მასთან ზიარებას და ელოდებოდა მასთან მარხულობით და შიშეულით გამზადებული და დასუფთავებული.

ეს, ჩვენი აზრით, ყველასათვის ნათელია და არა სადავო.

დღეს მცენარეულობა მეცნიერულად არის უკვე შესწავლილი და ხის სულიერობა, ისევე გაუგებარი და დაუჯერებელია, როგორც ადამიანის სიკვდილის შემდეგ სულის უკვდავება.

გ. ბაბურაული.

ჩვენს წითელ ჯარში

ყანაში.

მზე ტრუსავს არეს და ბუღი სუნთქვას ჰკრავს.

პაპანაქება...

№ ლეგიონის საზაფხულო ბანაკის ახლოს შეკრეხილი თავთავები ირხევიან ყანისა და წვებიან ხელეურებად ნამგლით მოკვეთილები.

მკაა.

იქვე მახლობლად, ხევის პირას მდგარ ნერგის ჩრდილ ქვეშ გადმოჩუხჩუხებს ცივი წყარო, რომლის ავაზანთანაც ჩამომჯდარან სამი წითელ არმიელი და ხელ პირს იგრილებენ... წამოწვნენ ჩრდილ ქვეშ და... გადაშალეს გაზეთი „წითელი არმიელი“ წერა-კითხვა ახლად შესწავლილნი გაბმულად კითხულობენ.

— რუ... რუ... რი... გეეე.. რმა. ნია... ში, გერმანიაში, რე... ვო... ლი... უცია, რევოლიუცია, მოს... ალო... დნელ-, მოსალოდნელია!

მოსალოდნელია და თუ საჭიროება მოითხოვს ჩვენც მზათა ვართ იქაურ მშრომელთა დასახმარებლად. — ამბობს მეორე.

— მერე რა მინდა ზაგრანიცის ნახვა და! — ჩაერია მესამე.

— ჰერიო, ჰერიო, ჰოპუნა! ჰერიო, ჰერიო, ჰოპუნა!.. — ისმის მომკველ გლეხების მკის დროის წასაქეზებელი ხალისიანი სიმღერა.

წითელ არმიელებმა ყურები სცქვიტეს. მათ, როგორც სოფლელებს მოესალბუნა ეს ხმა და წარმოუდგათ თვალწინ ლაშქარში გამოწვევამდე — თავიანთი სოფლის სურათები, სადაც, შარშან ამ დროს ესენიც მკიდენ ყანასა და... გადახედეს გორაკიდან.

ოქროს თავთავა ყანების ზღვა მზეში იწვოდა, წითელ ხელსახოცთავწაკრული გლეხები ლამაზად ატრიალებდნენ ნამგლებს და... ველარ მოითმინეს — დაეშვნენ ყანებ საკენ. წასტაცეს ხელიდან მუშებს ნამგლები და არაჩვეულებრივი სისწრაფით გაიტანეს ლელო. გლეხები გაკვირვებული შესცქერიან და სიხარულით ელაპარაკებიან ერთმანეთს.

— აი უფასო მუშები.

— მე მეგონა, რომ თოფის ხმარების მეტი არაფერი იციან მეთქი!

— იმ წინებზე, გაღმა მხარშიც ეხმარებოდენ მკაში.

სიომ წამოუქროლა.

შეოფლიანებულმა არმიელებმა რამდენიმე კონა შეჰკრეს ხელით და ძნა დააყენეს.

ნამგლები დააწყეს პატრონების წინ.

— აი ბარაქალა ბიჭებო! — სიმოვნებით შესძახა უხუცესმა გლეხმა და სამხარზე მიიწვია.

— დიდი მადლობა, ამხანაგებო. ჩვენ იმიტომ კი არ გიშველეთ, რომ...

— ვიცი, ვიცი, შვილებო! თქვენი თქმა არ მინდა, მაგრამ, აბა თქვენც გეტყობათ, რომ გლეხის შვილები ხართ და იცით ჩვენი ქართული ჩვეულება.

მუშა უჯამაგირო კიდეც ჰო, მაგრამ უსაჭმელო კი არა.., — უთხრა კვლავ მოხუცმა და საღვინე გადმოზნიქა ჯამში.

— აბა, გაგიმარჯოთ. მოსავალს კარგი პირი უჩანს წელსა და „ცისთვალი მასში ტრიალებს“! ალავერდი თქვენთან ჩვენო იმედებო. და გაუწოდა ჯამი.

არმიელებმა ულოცეს და უსურვეს ნაყოფიერობა ქირნახულის. გამოემშვიდობნენ.

გლეხებმა სიამით გამოაყოლეს თვალი. ბანაკში ისმოდა შესაკრებელი საყვირი.

სიო.

წყალი და სინათლე გვაკლია.

წყალსა და სინათლეს რომ დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საერთოთ ისე წითელ ყაზარმაშიც ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ჰიგიენურის მოსაზრებით წყალი გადადუღებული უნდა გვქონდეს წითელ არმიელებისათვის, მაგრამ ვინაიდან ჯერ ვერ მოვაწყვეთ, გადავდოთ შემდეგისათვის. მხოლოთ საყურადღებოა ერთი რამ: წყალი თუმცა ზოგჯერ ტალახიანი, მაგრამ ბევრი მოდის უდროვოდ დროს და ტყუილა უბრალოდ იღვრება. დიდი ხანია ეს ასეა როგორც ჩვენთან, ისე სხვა ყაზარმებშიც.

რაც შეეხება სინათლეს, იმაზეც ასევე ითქმის. არამც თუ ყაზარმა, მისი დაკეტილი საკუჭნაო საწყობები — სარდაფები, არამედ ქუჩებიც კი ზოგჯერ განათებულია დღით. საჭიროების დროს კი — ღამით არაა.

ზოგჯერ ბნელ კლუბშიც კი ვზივართ და ველოდით სინათლეს.

საჭიროა მეტი ყურადღება ვისგანაც ჯერ არს, რათა შრომა და ენერგია ტყვილა უბრალოდ არ დაიხარჯოს და გონივრულად მოხმარებულ იქნას.

ე. ც.

წით. არმ. ცენტ. კლუბში.

„პოლიტ-აუქციონი“

6 ენკენისთვეს ც. კლუბში გამართა საღამო წითელ არმიელებისათვის პოლიტიკურ და სამხედრო თემებზე.

პირველი საკითხი: „საბჭოთა სისტემა აღმშენებლობის“, მეორე „ბრძოლის საომარი საშუალებანი და იარაღები“.

დასმული თემები — აღმასრულებელი კომიტეტებიდან ს. ს. რ. კავშირის აღმასკომამდე — გამჟღავნებულ იქმნა თვით წითელ-არმიელების მიერ.

მეორე საკითხში-კი ჩამოთვლილ იქმნა ყველა იარაღები დაწყებული ხანჯლიდან-ტანკებამდე და თვითმფრინავებამდე.

წითელ არმიელებს დაურიგდათ კარგი საჩუქრები და მიწვეულ იქმნენ კინოში.

7 ენკენისთვეს იყო გამართული არმიელებისათვისვე „პოლიტ-ანკესი“ და „კავშირი“. შესანიშნავი ცოდნა გამოიჩინეს წითელ-არმიელებმა ამ ორივე თამაშში.

9 ენკენისთვეს — კვლავ „პოლიტ-ანკესი“ და „კავშირი“. პოლიტიკურ განვითარებისათვის დიდმნიშვნელოვანია ეს სათამაშოები („პოლიტ-ლოტარია“ „პოლიტ-აუქციონი“ „პოლიტ-ანკესი“ და „კავშირი“ რომელთა შესახებ ცალკე გავაშუქებ დაწვრილებით თუ როგორ ითამაშება).

ალმა.

პოლიტ-მეცადინეობა უფშემადგენლობასთან.

ქართულ დივიზიის ყველა ნაწილებს ყავს თავისი პოლიტ ხელმძღვანელები, რომელთა ერთ მოვალეობათაგანს შეადგენს წითელ არმიელთა პოლიტიკური აღზრდა.

ამ მხრივ საქმე დამაკმაყოფილებლათ არის, რაც გამოირკვა ამ უკანასკნელ დროს გამოცდებზე.

რაც შეეხება უფშემადგენლობის პოლიტ-მეცადინეობას ცოტას მოიკოჭლებს.

ზოგგან დაიწყო, ზოგგან ეხლა იწყება და ზოგგან ჯერ არ დაწყებულა მეცადინეობა.

— დაკვირვება მაძლევს საკმაო საბუთს ვსთქვა რომ წითელ არმიელები პოლიტ-ცოდნით ბევრით მაღლა დგანან ვიდრე უფშემადგენლობა. უფშემადგენლობიდან თუ ვინმემ რამე იცის ამ დარგში, ეს უთუოთ იქნება რომელიმე სკოლა დამთავრებული წითელი კომანდირი.

ამ დარგში ყველაზე უფრო ცუდ პირობებშია დაბალი უფშემადგენლობა, ესენი არც წითელ არმიელებთან მეცადინეობენ და არც უფშემადგენლობასთან.

ასევე ითქმის ჩვენი ნაწილების მეუფროსეებზედაც (მაღალ უფშემადგენლობაზე) რუსის ნაწილებში რამდენათაც მეტი თანამდებობა უკავიათ იმდენათ მეტი, სამხედროსთან ერთათ, პოლიტ-ცოდნაც აქვთ. ჩვენთან კი წინააღმდეგ — ზოგჯერ ნაკლები.

ჩემი აზრით საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს უფშემადგენლობის პოლიტ-აღზრდას. არ კმარა ნაწილში თვითმეცადინეობა კვირაში ერთხელ, საჭიროა წითელ არმიელთა კლუბში დაარსებულ იქნას ამ დარგის სპეციალური წრე და გაეწიოს შესაფერისი ხელმძღვანელობა.

ე. ც.—ია.

ახალი ამბები

სამოქალაქო ფლოტის სააქციონერო საზოგადოება.

ა. კ. სამოქალაქო ფლოტის სააქციონერო საზოგადოებაში მონაწილეობის მისაღებათ სასურსათო სახ. კომისარიატმა გაიღო 3.000 მან. ჩერვონცებით და შეიძინა 300 პაი.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის.

თანახმად კავკასიის წითელ დროშიანი არმიის პოლიტგანის ბრძანებისა 1924 წლის 15 აპრილამდე უნდა მოხდეს ჯარში გასაწვევ ახალგაზრდების წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. დაევალა საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის წითელი ლაშქრის პოლიტგანებს ადგილობრივ სამხედრო კომისარიატებსა და ახალგაზრდათა კომკავშირთან ერთად აღძრან საკითხი სათანადო პოლიტგანათლების განყოფილებებთან, რათა მიეცეთ საშუალებები და მასწავლებლები აღნიშნულ საქმისათვის.

რევოლიუციის მებრძოლთა საერთაშორისო დამხმარე საზოგადოება.

ტფილისში არსდება რევოლიუციის მებრძოლთა საერთაშორისო დამხმარე საზოგადოება.

ტფილისის ელექტრონის სადგურისათვის.

ქალაქის აღმასკომმა შუამდგომლობით მიმართა ა. კ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატს, რომ მან აღძრას სათანადო შუამდგომლობა სადაც ჯერ-არს, რომ ტფილისის ელექტრონულ სადგურისთვის გამოწერილ იქნას 550 ცხენის ძალის მქონე მატორი „პოლიარ დიზელის“.

ახალი ქართული ოპერები.

წელს სახელმწიფო საოპერო თეატრში დადგმება შემდეგი ახალი ქართული ოპერები: „თამარ ცბიერი“ — მ. ბალანჩივაძის, და „დაისი“ — ზ. ფალიაშვილის.

საქ. ახალგაზრდათა კომკავშირის ყრილობა.

15 სექტემბრისათვის ქ. ტფილისში მოწვეულია სრ. საქ. ახალგაზრდათა კომკავშირის ყრილობა.

ქალაქის ქუჩების სახელწოდებების შეცვლა.

ქ. აღმასკომის სტატისტიკურმა განყოფილებამ გამოჰყო ცალკე კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის ქუჩებისა და ზოგიერთ დაწესებულებების სახელწოდებათა გაქართულება.

რესპუბლიკის საზღვრებიდან გაძევება.

არაკეთილ საიმედობის გამო რესპუბლიკის საზღვრებიდან აძევებენ — სნეჟკოვს, ტიმონინს, ბეგაშვილს და მანუკოვს.

სპეკულიანტების შეპყრობა.

შავ ბირჟაზე ვალიუტით ვაჭრობისათვის შეპყრობილ იქნა 15 სპეკულიანტი, რომელთაც კონფისკაციის წესით ჩამოართვეს — 858. მილიონი აქ. ნიშნებით, 36 ჩერვონეცი, 68 ოსმ. ქალ. ლირა, 5 ც. ოსმ. ოქროს ლირა, 25 მან. ოქრო, 41 დოლარი და 1.760.000.000 მ. ნ. საბჭ. ფულის ნიშნებით.

შტატების შემოკლება.

ა. კ. რკინის გზის პროფკავშირმა დაადგინა მთელ ხაზზე საორგანიზაციო განყოფილებასთან შეთანხმებით შემოკლებულ იქნეს თანამშრომლებთა შტატი მინიმუმამდე.

საქონლის მანეთის კურსი.

საქონლის მანეთის კურსი, შრომის კომისარიატის დადგენილებით, 8 სექტემბრისათვის განსაზღვრულია — 8.601.000 მან.

სოციალური აღზრდა.

ა. კ. რკინის გზის პროფკავშირმა დაადგინა შესდგეს კომისია სოციალურ აღზრდის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლათ.

გადასახადი წყალზე და ელექტრონზე.

ქალ. აღმასკომმა შეიმუშავა გეგმა წყალზე და ელექტრონზე გადასახადის შესახებ.

გადასახადი უნდა გამოანგარიშებულ იქნას მანეთის კურსის კვალობაზე.

ტყის ექსპლოატაცია.

ა. კ. რკინის გზის სამმართველომ შეიმუშავა ხელშეკრულების პროექტი მიწადმოქმედების კომისარიატთან დასადებათ, საავარაკო ტყეების ექსპლოატაციისათვის.

გლეხთა კომიტეტები.

აჭარის სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის თაოსნობით აჭარაში არსდება გლეხთა კომიტეტები.

სახელმწიფო საოპერო თეატრის გახსნა.

სახელმწიფო საოპერო თეატრის სეზონი დაიწყება 6 ოქტომბერს გახსნისთანავე პირველი წარმოდგენა გაიმართება მუშებისათვის.

გრანდიოზული ინსცენირება.

23 (10) აგვისტოს ივანოვო-ვოზნესენსკის პროლეტარიატმა პატივი სცა 1915 წ. 10 აგვისტოს მეფის ჯარების მიერ მხეცურად დახოცილ ამხანაგთა ხსოვნას.

ივანოვო-ვოზნესენსის საგუბერნიო კომიტეტმა გადაწყვიტა აღენიშნა ეს დღე ინსცენიროვკით.

ამ მიზნით უმთავრეს ქარხნებში შექმნილ იქმნა სპეციალური „გაფიცვის“ კომიტეტები, რომელნიც მოუწოდებდენ მუშებს გაფიცვისა და იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ საპროტესტოთ.

ქარხნის საყვირზე ყოველ მხრით იწყეს დენა ქარხნებისაკენ მუშებმა, მუშა-ქალებმა და მათმა ბავშვებმა. ქუჩები დეკორაციებით იყო მორთული ძველი დროისებურად. ქალაქის აღმასკომის წარწერა შეცვლილ იქმნა წარწერით: „ივანოვო-ვოზნესენის ქალაქის საბჭო“. ნაცვლად პროლეტარიატის სოლიდარობის ემბლემისა — ჩაქუჩი და ნამგლის — ჩანდა ბრინჯაოს ორთავიანი არწივი. უმთავრეს ქუჩებზე იდგნენ პოლიციელები და დაქროდნენ ცხენებზე ურალის კაზაკები მათრახით, და დიდის ხელოვნებით ასრულებდნენ „წესიერების დამცველთა“ როლს. ეტლით დასეირნობდა პოლიცმეისტერად გადაცმული მუშა და განკარგულებებს აძლევდა ჯარებს, რათა ესროლათ ხალხისთვის, თუ ვინიცობაა გაჯიუტდებოდენ გაფიცვის გასაგრძელებლად.

ამ დროს ათიათასეული ქარხნის მუშები-მსახიობნი მიემართებიან ივანოვო-ვოზნესენის უმთავრეს მოედნისაკენ რევოლიუციონურ სიმღერებით და ძახილით: „ძირს ომი!“ ამ ფიქტიურ გაფიცვის მონაწილენი თანდათან მართლა შედიოდენ როლში და იჭურვებოდენ წარსულ სინამდვილის სულით.

ამ დროს, ერთბაშად ჰაერი შეირყევა უტყვი ვაზნების დაცლით, თოფების ჭექა-ქუხილი შეაწრიალებს იქაურობას და პრიკაზნი ხიდზე რამდენიმე მუშა და მუშა ქალნი ეცემიან ძირს, ვითომც დახოცილნი, სისხლთა დენით. (რასაკვირველია ეს სისხლი კი არ იყო, არამედ დაჭყლეტილ ჯახველას წვენი.)

ვითომდაც დახოცილნი და დაჭრილნი მუშები დაყრილ იქნებიან ფურგონებზე და წაყვანილ ბრძოლის ველიდან, ჯარისკაცების მიერ. გაისმის გულსაკლავი კივილი, ტირილი დახოცილთა ცოლშვილის. სამოცდაათი ათას მანიფესტანტების ყიჟინით და სტვენით ახმაურებული. მეფის ჯარები მოსცილდებიან ამ სისხლით შესვრილ ადგილებს.

დაჭრილ-დახოცილმა მუშებმა, რა შეასრულეს თავიანთი როლები, დიდის ხელოვნებით, — იხსნიან გრიმებს, პარიკებს ნიღაბებს და მიმართავენ უთვალავ ხალხს სიტყვით: „ასე იყო 1915 წელში.“

„ტრუდ“

ნავთის მეფეები.

ყველა კაპიტალისტური სახელმწიფოები გაფაციცებით აწარმოებენ ნავთისათვის ბრძოლას, მაგრამ უმთავრესი როლი ამ ბრძოლაში ეკუთვნით ორ მსოფლიო ტრესტს — ამერიკულს „სტანდარტ-ოილს“ და ინგლისურს „დეტ-შელლს“, რომელიც წარმოიშვა ორი ტრესტის, ინგლისურის „როიალ-დეტჩის“ და ჰოლანდიურ „შელლის“ შეერთებით. არ მოიპოვება დედამიწის ზურგზე ისეთი ადგილი სადაც კი ნავთი მოიპოვება, გარდა ს. ს. რ. კ. ნავთიანი ადგილებისა, რომელიც არ ექვემდებარებოდეს და ან არ განიცდიდეს რომელიმე ამ უძლიერესი ტრესტების გავლენას მაინც.

მეტად საინტერესოა ნავთის ტრესტის „სტანდარტ-ოილის" განვითარების ისტორია.

1870 წ. „სტანდარტ-ოილი" ამუშავებს შეერთებულ შტატების გაწმენდილ კეროსინის ოთხ პროცენტს, 1887 წ. ის კონტროლს უკეთებს უკვე 95 პროცენტს შტატების მთელი ნაწარმოებისას. მისმა მესვეურებმა შესძლეს შეერთებით სხვა და სხვა სააქციონერო საზოგადოებათა ინტერესებ-, მოსპეს მათ შორის გამეფებული კონკურენცია, იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ არ შეერთებით ერთ მთლიან ორგანიზაციაში. 1877 წ. „სტანდარტ-ოილმა" შესყიდა და მოაწყო პაიპლაინების (ნავთის გამტარებელთა) გრანდიოზული ქსელი, შეკრა მთელი რიგი ხელშეკრულებისა რკინის გზებთან, რომელიც ანიჭებდა მას უპირატესობას იმ საზოგადოებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არ მოქცეულიყვნენ მის კონტროლის ქვეშ. დაიპყრა პენსილვანიის თითქმის ყველა ვაგონები—ცისტერნები, აგრეთვე ერში და ნიუ-იორკში.

1880 წ. „სტანდარტ-ოილის" გეგემონია უზრუნველყოფილი შეიქნა. 2 იანვარს 1882 წ. ის შეუდგა ტრესტის დაარსების საქმეს, ცალკე კომპანიების აქციები ხელშეკრულებით გადაეცა ტრესტების კომიტეტს, ახლად შესული საზოგადოებები აძლევდენ თავის ობიექტებს ტრესტს და სამაგიეროდ იღებენ სათანადო აქციებს. ტრესტერებმა გაინაწილეს დივიდენდი. მათ კომიტეტი შესდგებოდა 9 კაცისაგან, მათ რიცხვში იყვნენ ლუინი და როკფელერი. ტრესტის საკუთრების ღირებულება აღწევდა 75 მილიონ დოლარს. მასში შევიდა 39 საზოგადოება.

1877 წ. „საშტატო სავაჭრო კანონი" ცდილობს აუკრძალოს რკინის გზებს კერძო გადამგზავნთათვის სხვა და სხვა ლგოტებისა და სკიდკების მიცემა. თუმცა ამ გარემოებამ ოდნავადაც ვერ შეარყია „სტანდარტ-ოილის" სიძლიერე. რკინის გზებსა და ტრესტს კარგათ შეეძლოთ გვერდი აეხვიათ ხსენებულ კანონისათვის. ხან გაიძვერაობდენ ნავთის სიმძიმის შესახებ, ხან კი ბაზარზე არსებულ ფასებთან შედარებით ორჯერ და სამჯერ მეტად ფიქტიურად ყიდულობდენ ნავთს. იმ დროს როდესაც კონკურენტები იხდიდენ 53-57 ცენტს ტარიფით ტრესტი იხდიდა მხოლოდ 35 ცენტს.

სამხედრო საქმე

დამფარ სპების მოვალეობანი.

საზღვრის დამფარ სპების ამოცანები მრავალგვარი იქნება. იმათ უპირველესად ყოვლისა უნდა უზრუნველჰყონ საკუთარ მობილიზაციის წესრიგიანად გატარება: ხალხის ჯარში გაწვევა, ცხენების შეგროვება, ხაზინების სახელმწიფოს შუაგულში გადატანა, სარკინისგზო მასალის გადაზიდვა და სხვა, და ამავე დროს, მათ უნდა დაჰფარონ პირველ ეშელონების გადმოსხდომა. დამფარმა სპებმა უნდა ხელი შეუწყონ და დაეხმარონ სამოქალაქო ხელისუფლებას მშვიდობიანობის და წესრიგის დაცვაში, განსაკუთრებით იმ ალაგს, სადაც მოსახლეობა თანაგრძნობით უყურებს მოწინააღმდეგეს. მათ უნდა თვალყური ადევნონ საზღვარზედ შემოსვლას: მგზავრებს სხვადასხვა ჩვენებას ჩამოართმევენ, აუკრძალავენ ცხენების საზღვარ-გარეთ გაყვანას და იარაღის შეზიდვას პოლიტიკურად არასაიმედო ოლქებში.

თვალყური უნდა ადევნონ მოწინააღმდეგის ქვეყნის პოლიტიკურ და სამხედრო ამბებს; საკუთარი პრესაც უნდა სამხედრო ცენზურის ქვეშ იმყოფებოდეს, რათა ცნობებში ისეთი რამ არ შეიპაროს, რითაც მტერს შეეძლება იხელმძღვანელოს თავის მოქმედების დროს. აქ საჭირო იქნება უფროსთა შედგენილების ხელმძღვანელობით მოეწყოს კავშირი. საზღვრის დამფარი სპები აგრეთვე დაჰფარავენ იმ სადგურებს, სადაც მოსული ჯარი მატარებლებიდან გადმოდის, ამას გარდა იგინი დაიცვენ მდინარეების ფონებს და ხელოვნურ შენობებს მტრის თავდასხმისაგან.

საზღვრებისა და რკინის გზის ლიანდაგების დაცვას ხელის ხელ აწარმოებენ; რკინისგზის ლიანდაგის დაცვა მიენდობა ადგილობრივ მცხოვრებლებს; იმ ადგილებში კი სადაც მტრულად განწყობილი მოსახლეობაა, მათ უნდა გამოეცხადოს პასუხისმგებლობა ლიანდაგის სიმრავლეზედ და ტელეგრაფის ხაზის მართებულ მოქმედებაზედ.

საზღვრის დამფარ სპის ძალისათვის შესაძლოთ ნაკლებ ხალხით კმაყოფილდებიან, რასაკვირველია დასახულ ამოცანათა შესრულების მიხედვით. თავდაპირველად ამ მიზნისათვის სარგებლობენ იმ ნაწილებით, რომელნიც მშვიდობიან დროს საზღვრის ახლო იმყოფებიან და მათ აძლიერებენ სახელმწიფოს შუა-გულიდან გამოგზავნილ ჯარებით. მცირე ომის ოპერაციების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ პირობების და მდებარეობის ცოდნას, რისთვისაც უნდა გამოიყენონ ადგილობრივი მცხოვრებნი, საზღვარსა და საბჭოს მოხელენი, სოფლის ხელისუფლებანი, ტყის მცველნი, და სხვა.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოიხსნას სანაპირო ჯარის ნაწილები, რადგან ეს გამოიწვევს მოსახლეობაში მღელვარებას და ჩოჩქოლს და ამით ზურგში მოთავსებული, ჯარის მობილიზაციის საქმე არა ხელსაყრელ პირობებში იქნება ჩაყენებული.

ორივე მოწინააღმდეგე მხარე შეფიქრიანებული იქნება მტრის მოულოდნელ შემოჭრის შესაძლებლობით, ამიტომ აქ მშვენიერი პირობებია—გაბედული მოქმედებისათვის. აქ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის უარყოფითი მოვლენა, რაიც შეიძლება იყოს გამოწვეული მშვიდობიან დროს ჯარის საზღვრებთან გაგზავნა და იქ მძიმე პირობებში მათი შევსება და მობილიზაცია, როდესაც ერთდროულად მიიღებენ მრავალ ერთი-ერთმანეთის საწინააღმდეგო ბრძანებებს.

გ. ბ.

მეცნიერება და ტექნიკა

მოხეტიალე ცეცხლის გაჩენის მიზეზი.

მოხეტიალე ცეცხლების არსებობა ჯერ კიდევ ძველადაც ცნობილი იყო. მათ მუდმივ სამყოფ ადგილეს წარმოადგენს ჭაობები, ნესტიანი მინდვრები და სასაფლაოები. მიშიშარა მისტიკებს ეს ცეცხლები წარმოდგენილი ჰყავდათ, როგორც მიცვალებულთა სულები, და მეორე მხრივ იქ აღმოაჩენდენ მათ არსებობას, სადაც ისინი არას დროს არა ყოფილან და აწერდნენ მას ჯადოსნურ საოცრების და საიდუმლო წინასწარმეტყველობის თვისებებს. ამან აიძულა ფრთხილი სკეპტიკოსები, იჭვის თვალით დაეწყოთ ცქერა მათი არსებობისათვის.

ზოგიერთი მეცნიერი (მაგალ. ასტრონომები: ბესელი, ლისტი და პროფესორი კნორი) სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა ადგილზე, ახდენენ დაკვირვებას ამ მოვლენაზე და ცდილობდნენ გამოერკვიათ მისი ფიზიკური თვისებები. ისინი დარწმუნდნენ, რომ ხსენებული ცეცხლები ჩნდებიან ნესტიან ადგილებში, სადაც დაგროვილია ლპობაში წასული ორგანიული ნივთიერებანი. ასეთ ადგილებში აღმოცენებული ცეცხლები ცისფერი ფერისანი არიან. სინათლე ვრცელდება მიწაზე, თითქოს მოძრაობდეს რამოდენიმე ხნის განმავლობაში. სითბოს ისინი არ უშვებენ.

ამას წინად, ბელგიელ ქიმიკ დიუმამ მოახდინა ამ საიდუმლოებით აღსავსე სინათლის ქიმიურად შესწავლა, რომლის შედეგები დაბეჭდილია ჟურნალ „პრიროდაში". მისი გამოკვლევანი იმაში მდგომარეობს, რომ მან მოახდინა ამ მოვლენის აღნიშვნა სრული ბუნებრივი სისუსტით.

პირველად ის, (როგორც სხვები) ჰფიქრობდა, რომ ეს ალი არის ჭაობის გაზის წვის შედეგი. მაგრამ ერთის მხრივ ჭაობის გაზის ალს წვის დროს არა აქვს ცისფერი სინათლე, ხოლო მეორე მხრივ არავითარი მიზეზი არ არსებობს, რომელიც ხელს უწყობდეს ხსენებულ გაზის წვას.

ჭეშმარიტების აღმოსაჩენად დიუმამ მოახდინა ქვევით მოყვანილი ცდა.

მან გამოიტანა ბაღში სინედლის დროს წყალქვეშ დამალული აპარატი წყალბადიანი გოგირდით, რომელშიაც მოათავსა ცოტაოდენი ფოსფორმჟავა კალიუმი, რის გამოც აპარატში მოხდა აგრეთვე ფოსფორის შეერთება წყალბადთან, როგორც კი ამ ორი გაზის ნარევი შეეხო ჰაერს, მაშინვე გაჩნდა ტიპიური მოხეტიალე ცეცხლი ცისფერი ალით და უმნიშვნელო ღრუბლით, გოგირდიანი წყალბადის, ან ფოსფორის სუნი სრულიად არ იყო, ისე, როგორც არსად არ ჩანდა კვამლი.

დიუმას აზრით ბუნებაში მოხეტიალე ცეცხლები ასეთივე წესით უნდა ჩნდებოდნენ და მერე ისეთ ადგილებში, მიცვალებულთა გვამები ჩაწყობილია ნესტიან ადგილებში.

ამას გარდა ცეცხლის წარმოშობა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი ორგანიზმებისაგან, რომლებიც მდიდარი არიან გოგირდით, მაგალითად თავის და ზურგის ტვინისაგან განთავისუფლებული გაზები ავსებენ თავის ქალის სიღრმეს, ხოლო შემდეგ დაწოლის გადიდებით გამოდიან მისგან და ჰაერის შეხებით ცეცხლივით აენთებიან.

ოთახის სინესტესთან ბრძოლა.

ოთახში სინესტე შეიძლება მოსპობილი იქნეს, გაძლიერებული თბობით და შემდეგ ხანგრძლივი ვენტილაციით, სანათურების გაღებით, ან და გადასატან ღუმელების დადგმით, რომლის საკვამურმა უნდა გაიაროს ნესტიანი კედლების ახლოს, შემდეგ ჩაუქრობი კირის სავსე თიხის ჭურჭლების დადგმით უფრო ნესტიან ადგილებში, როდესაც კირი სინესტის შეწოვით გაწყალდება უნდა გამოცვლილ იქნეს ხელახლად.

მოჭრილ ყვავილების შენახვა.

ბევრ მუშების ოჯახებს მეტად უყვართ ქილებში მოჭრილი ყვავილების შენახვა, მოჭრილი ყვავილები კარგად ინახებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც ქილაში წყალთან ერთად იმყოფება ცოტა შაქარიც, დაახლოებით საჩაიე კოვზის სამი მეოთხედი ერთ სტაქანზე. წყალს სცვლიან ყოველ დღე, რომელიც აუცილებლად უნდა გათბეს ოთახის ტემპერატურამდე. შეიძლება აგრეთვე შაქრის მაგივრად იხმარონ ნიშადურის ორიწვეთი. მაგრამ [illegible] პირველი საშუალება. შაქრიან წყალში მოთავსებული ყვავილები სიცოცხლეს ინარჩუნებენ ორი კვირის განმავლობაში.

ჩრჩილის საწინააღმდეგო საშუალება.

აი, მართლაც ერთად ერთი საშუალება ჩრჩილის წინააღმდეგ საბრძოლველად: პირველად ყველა საჭირო შალის ტანისამოსი და სხვა მატერიების ზედმიწევნით კარგი გაწმენდა და დიდი ხანი უნდა გაიკიდოს მზის სხივებზე, რომ კარგად განიავდეს (ტყავლიანი ტანსაცმელი კარგად უნდა დაივარცხნოს სავარცხლით.) შემდეგ ჩააწყოთ უნდა ტომრებში, რომელიც გამოკრული იქნება გაზეთის ქაღალდით. იმისათვის რომ ტომრები არ დაიხეს უნდა ადებული იქნეს რამოდენიმე გაზეთის ფურცელი ერთად და თავი გადაეკრას. ხელსახოცით ან ჩარსავით. დიასახლისის სინდისი რომ უფრო დამშვიდებული იქნეს, საჭირო ტანისამოსს მოაფრქვევს დაფქვილ პილპილში ასული ფოთლის თამბაქო.

(ეს ძველი გამოგონილი საშუალებაა).

პოეზია

ბუკი.

სმენა!!!—ისმინეთ ბუკი!
იგი მოგიხმობთ, ძმებო, ყველას;
თქვენი გაზეთი—ვინმეს გსურს თუ კი
ღარიბი არ ს—ითხოვს შველასა!..

მესაიდუმლე და სარკე გულის
თქვენის იმედ თ ჰნათობს მზის დარში;
წითელ ყაზარმებს ის დაცვად უვლის
ძველი მსოფლიოს ურღვევს საკარში!..

ო, საჭირო დამხმარე წყარო,
რომ არ გადახმეს ფოთლების ცვენით;
ღირსი გუშაგი რომ გავახაროთ,—
იმედი უნდა ჰქონდეს მას ჩვენი!

საქართველოს წითელო ჯარო,
„წითელ არმიელს" მოეცით ხმანი;
ჩვენი წვლილი, რომ უნდა ვახმაროთ
რა საჭიროა ამისი თქმანი?!

დაშნა.

ბრძანება.

ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტ-განყოფილებისადმი.

№ 135

8 სექტემბერი 1923 წელი. ქ. თბილისი.

საქართველოს წითელ ლაშქრის ცენტრალურ წითელ არმიელების კლუბთან არსებულ ბიბლიოთეკების შესახებ.

ამსთანავე ცხადდება შესასრულებლად და სახელმძღვანელოდ შემდეგი:

1) საქართველოს წითელ ლაშქრის ცენტრალურ წითელ არმიელთა კლუბთან არსებული ბიბლიოთეკა, რომელიც ემსახურებოდა დღემდი მხოლოდ ტფილისის გარნიზონში მდგომ ჯარის ნაწილებს, დღეის რიცხვიდან გადავიდეს მთლიანათ დივიზიის განკარგულებაში, როგორც დივიზიის ბაზა—კოლექტორი.

2) საკლუბო საბიბლიოთეკო სექციის გამგეებს ვუბრძანებ: რათა აღნიშნული ბაზა-კოლექტორი ემსახურებოდეს დივიზიის ყველა ნაწილებს და საქართველოს სამხედრო კომისარიატებს, რისთვისაც იქნეს მიღებული სათანადო ზომები აღნიშნულ ნაწილებისათვის სისტემატიურად და თავის დროზე ყოველ გვარ ლიტერატურის მისაწოდებლად.

3) შტატი, რომელიც ემსახურებოდა ყოფილ ბიბლიოთეკას მთლიანათ გადავიდეს ბაზა-კოლექტორში.

4) ყოფილ ბიბლიოთეკის მთელი ინვენტარი გადარიცხულ იქნას ბაზა-კოლექტორის საერთო ქონებაში.

5) ცენტრალურ წითელ არმიელთა კლუბის გამგეს ვუბრძანებ: რათა დღეიდანვე შეუდგეს კლუბში ბიბლიოთეკის მოწყობას, რისთვისაც წარმოადგინოს პოლიტიკურ განყოფილების საკლუბო-საბიბლიოთეკო სექციაში ბიბლიოთეკის მოსაწყობათ საჭირო ხარჯთ აღრიცხვა.

პოლიტ განყოფილების უფროსი **თ. ქლენტი.**

სააგიტპროპო ნაწილის უფროსის
მოადგილე **ბახტაძე.**

სწორეა საქმის წარმოებელი **ე. კვიცინაძე.**

დაკარგა ახკომკავშირის მე-3-მე ლეგიონის ორგანიზაციიდან მოცემული მოწმობა № 242. ჩაითვალოს გაუქმებულად ივ. წკრიალაშვილის სახელობაზე.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1200. სამხედრო სტამბა პასუხის-მგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.